ხელშეკრულება №10-85/1
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № CON170000066)

ქ. თბილისი **12 ოქტომბერი 2017 წელი**

ერთი მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის **მამუკა ბერიძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „პენსან ჯორჯია“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიგა გობიანიძის** სახით "სახელწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 20 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე, „2017 წელს A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის N2336 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.4. ხელშერკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.
1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.6 საქონელი - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთველისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV30197630) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, რომელიც აკმაყოფილებს 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (№CON170000066) სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.
2.2. შესასყიდი საქონლის საორიენტაციო რაოდენობა არის - **1000 (ერთი ათასი) შეკვრა.**
2.3. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **6 250.00 (ექვსი ათას ორასორმოცდაათი) ლარს.**
3.2 ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს **- 6.25 (ექვსი ლარი და 25 თეთრი) ლარს.**
3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს და მოსაკრებელს.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტით და ანგარიშ-ფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი **გიორგი გურგენიძე** (მისი არყოფნის შემთხვევაში , შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი).
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
4.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
4.5 დაფინანსების წყარო: 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ (პროგრამული კოდი 320101).

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2017 წლის 30 ოქტომბრისა, შემსყიდველი მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52).

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ ვადაში შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი და პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

დ) დაიცვას ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 7. ხელშეკრულების კონტროლის გაწევის პირობები

7.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

7.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს მხოლოდ მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის და თანმდევი მომსახურების გაწევის შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან (რაოდენობის და ვადის გათვალისწინებით) და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი **დარეჯან ფირცხალავა.**

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

მუხლი 8. ხელშეკრულების ვალდებულებების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

8.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მისაწოდებელი (დარჩენილი) საქონლის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

8.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

8.6 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

8.7 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

8.8 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

9.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

9.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინერე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

12.2. ყველა სახის შეტყობინება შესაძლებელია ოფიციალური წერილის საფუძველზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი თამარ მეფის გამზ. N18. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: www.pensan.ge, pensan.georgia@gmail.com (საკონტაქტო პირი ნესტან დეკანაძე - 5 57 41 20 19; 2 355 844) შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

13.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე , მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მუხლი 15. ზოგადი დებულებები

15.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო
ს/კ: 202051224
ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52,
ტელ 2200 220
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის ფუნქციათა
შემსრულებელი

მამუკა ბერიძე

მიმწოდებელი :
შპს „პენსან ჯორჯია"
ს/კ 404870760
ქ.თბილისი, ბახტრიონის ქ. N24/96;
თამარ მეფის გამზ. N18.
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ა/ა GE35VT65 000 000 5555 5555
UGEBGE22
ტელ: 557 41 20 19; 2 355 844

დირექტორი

ბიგა ბოგვიანიძე

დანართი N1

№	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	რ-ბა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი გრამაჟი (გრ/მ2) – 77-83 სიკაშკაშე –არანაკლებ 88%; გაუმჭვირვალობა– მინიმუმ 92%; სითეთრე(CIE) Wcbg) (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით) - არანაკლებ 142% ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა; ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე, (გააჩნდეს ECF სერტიფიკატი) ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლგადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის.	შეკვრა (500 ფურცლიანი)	1000	6.25	6250.00
				სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით	**6250.00**

შემსყიდველი:
საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის ფუნქციათა
შემსრულებელი

მამუკა ბერიძე

მიმწოდებელი :
შპს „პენსან ჯორჯია“

დირექტორი

გიგა გობიანიძე

12 ოქტომბერი, 2017 წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და **შპს „პენსან ჯორჯიას"** შორის 1000 (ერთი ათასი) შეკვრა A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

გიორგი გურგენიძე _____

კონტროლის განმახორციელებელი პირი:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დარეჯან ფირცხალავა _____